# გაუხმაურებელი ფაქტები

№ 49 (149) 14-20 დეკემბერი. ყოველკვირეული გამოცემა გამოდის სამშაბათობით ფასი 50 თეთრი



## ანტიკორუფციული კომისია ყველაზე კორუმპირებული ორგანო

**1989 წლის 19 დეკემბერს გამოვიდა ერთ-ერთი პირველი ქართული დამოუკიდებელი გაზეთი**




**ვულოცავთ კოლეგებს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს!**

## დასავლეთს ის არ მოსწონს, რუსებს კუდს რომ ვუქიცინებთ

გვ. 7

# ქართველი სპორტსმენის სევდიანი გამარჯვება

უბრწყინვალესი გამარჯვება შეიძლება ეწოდოს, ჩვენი მამულიშვილის, კახი კახიაშვილის წარმატებას მსოფლიო პირველობაზე მძლეოსნობაში, სადაც იგი საბერძნეთის სახელით მონაწილეობდა. თითქოს ამ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონისათვის ახალი არაფერი იყო, მაგრამ მართლაც ღირსეულად გაიმარჯვა.

წარმოუდგენლად დიდი განცდა და სიამაყის უსაზღვრო გრძნობა გეუფლება, საბერძნეთში მყოფ თითოეულ ქართველს, როცა შენს თანამემამულეს, ამ სიმაღლეზე და ასე ღირსეულად ხედავ, არა მარტო მისი ფიზიკური შესაძლებლობებით, არამედ მისი არაჩვეულებრივი მომაჯადოებელი მიმზიდველობით, რომელიც მას ყველა თანაკლუბელისაგან, გამორჩეულს ხდის.

ყველასათვის ცნობილია ოლიმპიელ ბერძენთა დამოკიდებულება წარსულიდან დღემდე, სპორტისადმი. ბერძენ მძლეოსანთა წარმატება მსოფლიო ჩემპიონატზე, მართლაც დიდი გამარჯვება იყო, სადაც 6 ოქროს 11 ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ბერძნების ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ჩვენს თანამემამულეს ეკუთვნის. მან 3 ოქროს მედალი მოიპოვა.

წლების განმავლობაში მოპოვებულმა დიდებამ საბერძნეთისათვის, კახი უსაყვარლეს სპორტსმენად გახადა. რომელიც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოების ყველა ფენაში, მისი ენისგასატეხი სახელი და გვარი კი არავის ავიწყებს მის ქართველობას.

მართალია, ყველას გვტკივა გული და მათ შორის ალბათ კახისაც იმის გამო, რომ დღეს, ეს მცირე ერის შვილები, ქართველები მრავალი დიდი და ცნობილი ერების მშვენებაა და ჩვენ ძვირფას და სანუკვარ სამშობლოს ვაკლდებით, მაგრამ ესეც ხომ მდგომარეობითაა გამოწვეული. არა მგონია კახი კახიაშვილს ეს ბრწყინვალე გამარჯვება (მართალია საბერძნეთისთვის) ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს, ჩვენი ერის სადიდებლად.

ეს დიდი წარმატება ქართველი ამირანისა, მსოფლიოს ახსენებს და აცნობს კომუნისტური რეჟიმის პერიოდში მივიწყებულ, რუსებად ქცეულ, უძველეს ქართველებს და მათ შორის ბერძნებს სხვაზე მეტად. კახი კახიაშვილი კი თავისი სიყვარულით, საქველმოქმედო საქმიანობით გვერდში უდგას სამშობლოს.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო კახი, ბერძნული ჰიმნის შესრულების დროს, სწორედ მაშინ ამეტყველდა მისი ბრძენი და მშვიდი სახე, რომელშიც სევდა და ტკივილი ჟღერდა. თითოეულ ჩვენგანს თვალები ცრემლებით გვევსებოდა, ცრემლებს ვაჟკაცურად ყლაპავდა კახიც და მაინც ეს სევდანარევი განცდა, ასე მგონია, საქართველოს სიშორე და მასზე ტკივილი იყო.

მთელი საღამო ტელევიზიის ყველა პროგრამები კახის ინტერვიუებს გადმოსცემდნენ და არც ერთში არ იგრძნობოდა უდიდესი აღტაცება. კახისთვის გამარჯვება ხომ უჩვეულო რამ არ არის, ალბათ წლებთან ერთად სამშობლოს ტკივილი უფრო მეტად აწუხებს.

ვისურვებდი ყველა ქართველს შეძლებოდეს მისი ქვეყნის ასე ღირსეულად წარმოჩენა. ხოლო ამ ლამაზ ვაჟკაცს ქართული ოჯახი შეექმნას, რომელზეც ის თვითონვე ოცნებობს. წერილი მინდა დავამთავრო მისივე სიტყვებით: ჩემი შვილების დედა ენა ქართული იქნებაო.

**შორენა შენგელია**

*ათენი*

ჭორ-მართალი